საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030624429017820

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/553 **24 / თებერვალი / 2020 წ.**

ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ კონსტანტინე თავზარაშვილს

ბატონო კონსტანტინე,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში-ცენტრი) განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გადმოგზავნილი 2020 წლის 3 თებერვლის № 12091 წერილი, რომლითაც ითხოვთ ქ. გორის გენერალური გეგმის შემუშავების საპროექტო მომსახურების კონკურსისთვის სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად ტექნიკური დავალებისათვის საკონსულტაციო მომსახურებას და წინასწარ რეკომენდაციებს.
აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საქართველოს კანონის და „გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N420 დადგენილების საფუძველზე, ცენტრი, კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტებს ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მიმართულებით, სტარტეგიული დოკუმენტების შეფასების საფუძველზე და ამზადებს შესაბამისი დასკვნას და რეკომენდაციებს.
რაც შეეხება, წერილში მოთხოვნილ საკონსულტაციო მომსახურებას, აღნიშნული სცილდება ცენტრის კომპეტენციას. ამასთან, წერილს თან ვურთავთ, ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასებისთვის სარეკომენდაციო მატრიცას (დანართი), რომელიც დაინტერესებულ პირებს დაეხმარება ტექნიკური დავალების შედგენაში. ფორმა განთავსებულია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge შესაბამის ველში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე